არჩილ ქიქოძე

ფრიტიოფ ნანსენი

– პოლარული ვიკინგი შეკუნთებული ადამიანი

ბავშვობაში ჩვენს სახლში იყო რუსული წიგნი – გამორჩეული პოლარული მკვლევარების ბიოგრაფიები. იმ წიგნიდან ყველაზე მეტად მოგზაურების სახეები დამამახსოვრდა – სიმპათიური მამაკაცები, რომელთა თვალებში ფანატიკური ცეცხლი ენთო. კიდევ სახლში გვქონდა ნამდვილი სკივრი, რომელიც მამაჩემმა მაშინდელი ლენინგრადიდან, დღევანდელი პეტერბურგიდან, ჩამოიტანა და ასე გვითხრა, რომ ეს სკივრი ოდესღაც რომელიღაც რუს პოლარულ მკვლევარს ეკუთვნოდა. შეიძლება, ეს ლეგენდა მამაჩემისავე მოგონილი იყო, მაგრამ ჩემთვის ეს სკივრი მჭიდროდ დაუკავშირდა წიგნში ნანახ პორტრეტებს და ამიტომ იდუმალ ნივთად იქცა, თუმცა მასში განსაკუთრებულს არაფერს ვინახავდით.

ახალგაზრდობაში ვცდილობდი, რომ ჩემს ცხოვრებაში რაც შეიძლება მეტი თავგადასავალი ყოფილიყო – ვნადირობდი, დავდიოდი მთაში, მაგრამ არც ყველაზე სახელგანთქმული მთამსვლელები და, მით უმეტეს, არც მონადირეები ყოფილან ოდესმე ჩემი გმირები. ვისაც გმირებად ვთვლიდი, მათი სამყარო ჩემთვის მიუწვდომლად დარჩა. მე არასოდეს მინახავს ჩრდილოეთი. დღესაც თბილისის ქუჩებში აღელვების გარეშე ვერ ვუყურებ ყველაზე ლამაზ ძაღლებს – მალამუტებსა და ჰასკებს. ეს მგლის მსგავსი ნახევრადველური არსებები ჩვენს დახუთულ ქალაქში მებრალებიან. მათი სამყარო ხომ აქედან ძალიან შორს, ჩრდილოეთის ციალით აჭრელებული ცის ქვეშ არის. მათ ვუცქერ და ქარბუქის ხმა, მათრახების ტკაცუნი, მარეკთა შეძახილები ჩამესმის და იმ თვალებანთებულ მაგარ კაცებზე ვფიქრობ, ორმოცგრადუსიან ყინვაში თხილამურებით უკან რომ მისდევდნენ მარხილებს. წინ ზოგს დიდება, ზოგს კი ყინულეთში, თეთრ მდუმარებაში სიკვდილი ელოდა...

ისინი ბევრნი არიან – არქტიკისა და ანტარქტიკის სახელოვანი და უსახელო გმირები, მაგრამ მათ შორის არის ერთი, რომელიც ყველასაგან გამორჩეულია. კაცი, რომელიც მხოლოდ მკვლევარი და მოგზაური არ ყოფილა. ის, რაც ნორვეგიელმა ფრიტიოფ ნანსენმა შეძლო, სცდება ადამიანურ შესაძლებლობებს. ის იყო მეცნიერი, არქტიკის მკვლევარი, გამომგონებელი, კონსტრუქტორი, დიპლომატი, ქველმოქმედი, ერთა ლიგის კომისარი, ნობელის პრემიის ლაურეატი და მოუსვენარი კაცი, რომელსაც ახალგაზრდობიდან ერთადერთი სურვილი ჰქონდა – საკუთარი ცხოვრება მეცნიერებისთვის და ახალი გეოგრაფიული აღმოჩენებისთვის მიეძღვნა, მაგრამ პასუხისმგებლობამ, რომელსაც საკუთარი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს მიმართ გრძნობდა, მრავალი სხვა საქმისთვის მოაკიდინა ხელი.

მაგრამ, მოდი, შორიდან, ნანსენის სამშობლოდან, დავიწყებ.

ნორვეგია ჩრდილოეთის ულამაზესი ქვეყანაა, რომელიც დღემდე მეჩხერადაა დასახლებული. შვედების, დანიელებისა და ისლანდიელების მსგავსად, ნორვეგიელები სკანდინავები არიან. მათი წინაპრები მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი და ძლიერი მებრძოლები – ვიკინგები იყვნენ, რომლებიც შუა საუკუნეებში მთელ ევროპას შიშის ზარს სცემდნენ და რომელთა გემებმაც (დღეს ეს უკვე სრულიად დადასტურებული ფაქტია) ქრისტეფორე კოლუმბამდე რამდენიმე საუკუნით ადრე მიაღწიეს ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტს. საინტერესოა, რომ დაუნდობელი ვიკინგების შთამომავალი ნორვეგიელები ერთ-ერთი ყველაზე მშვიდობიანი ხალხია მსოფლიოში, მაგრამ წინაპართაგან მათ ფიზიკური ღონე და გოლიათური აღნაგობა დაჰყვათ და კიდევ, არსად გამქრალა მოგზაურობისა და აღმოჩენის წყურვილი. ნორვეგიელებს ძალიან უყვართ მოგზაურობა და სპორტი. განსაკუთრებით სპორტის ზამთრის სახეობები, რომლებშიც ტრადიციულად ძალიან ძლიერები არიან.

ფიზიკურად ძლიერი იყო ფრიტიოფ ნანსენიც. როდესაც ის 1861 წელს ქვეყანას მოევლინა, ნორვეგიული სახელმწიფო არ არსებობდა. ნორვეგია შვედეთის სამეფოს ნაწილი იყო. ნანსენების მრავალშვილიან ოჯახში,

ვიკინგები – სკანდინავიურ ენებზე ვიკინგი მეკობრეს ნიშნავს. ეს ზღვის ყაჩაღები ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეზღვაურები იყვნენ, ნადავლის მოსაპოვებლად თავიანთი პატარა გემებით ისინი მოულოდნელად ჩნდებოდნენ ევროპისა და აფრიკის ნაპირებთან და მათი გამოჩენა, ყველგან და ყველას შიშის ზარს სცემდა. XI საუკუნეში ვიკინგები შავ ზღვაში შემოვიდნენ და საქართველოშიც გამოჩნდნენ. მათ მეფე ბაგრატ IV-ის მხარეს ურჩი ფეოდალის ლიპარიტ ბაღვაშის წინააღმდეგ ბრძოლაში მიიღეს მონაწილეობა. მაგრამ ვიკინგები მხოლოდ ძარცვით არ იყვნენ დაკავებული. ახალ ადგილებზე ისინი კოლონიებს აარსებდნენ. დღევანდელი ისლანდია ერთი ასეთი კოლონიაა და იქ დღემდე ვიკინგთა შთამომავლები ცხოვრობენ. 980 წელს ვიკინგთა ერთ-ერთმა ბელადმა, ჟღალმა ერიკმა, კოლონია დააარსა კუნძულ გრენლანდიაზე, ხოლო 1000 წელს მისი ვაჟი, თავის თანამოძმეებთან ერთად, დღევანდელი კანადის ტერიტორიაზე დასახლდა. რკინის იარაღიანი მაღალი და ქერა ხალხის შესახებ ლეგენდები ამერიკის მკვიდრმა მოსახლეობამ – ინდიელებმა და ესკიმოსებმა – შემოინახეს. მოგვიანებით ვიკინგების ამერიკის კონტინენტზე ყოფნა დადასტურდა არქეოლოგთა მიერ აღმოჩენილი მასალებითაც.

რომელიც, სხვათა შორის, შვედეთის ნაწილად ყოფნის მომხრე იყო, ვერავინ იფიქრებდა, რომ რიგით მეორე ფრიტიოფი (მას ჩვილობაში გარდაცვლილი ერთ-ერთი ძმის სახელი დაარქვეს), სხვა მრავალ მიღწევასთან ერთად, საკუთარი ქვეყნის განთავისუფლებაშიც შეიტანდა უზარმაზარ წვლილს.

ნანსენების ოჯახში სპორტს აღმერთებდნენ. ფრიტიოფ ნანსენი ორი წლის ასაკიდან იდგა თხილამურებზე, ადრეული ბავშვობიდან ნადირობდა და თევზაობდა. სრულიად ახალგაზრდა კაცი ქვეყნის ჩემპიონი გახდა თხილამურებით სირბილში, ციგურებით სირბილში კი ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა.

სკოლის დამთავრების შემდეგ ნანსენმა ქრისტიანიის (დღევანდელი ოსლო – ქვეყნის დედაქალაქი) უნივერსიტეტში ჩააბარა ზოოლოგიის ფაკულტეტზე. თავისი პროფესორის რჩევით გადაწყვიტა სელაპების ცხოვრება შეესწავლა და სულ მალე, 1882 წელს, სელაპების მომპოვებელ გემ „ვიკინგს“ გაჰყვა პირველ ჩრდილოურ ზღვაოსნობაში, საიდანაც დაბრუნდა გამობრძმედილ პოლარულ მკვლევრად, რომელსაც მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი თავისი ცხოვრება ჩრდილოეთის შესწავლისთვის მიეძღვნა. სამეცნიერო მუშაობასთან ერთად მან მომავალ მოგზაურობაზე დაიწყო ფიქრი და ოცდაშვიდი წლის ასაკში განახორციელა კიდეც. მისი იდეა ბევრს სრულიად ფანტასტიკურად ეჩვენებოდა, მისი წარმატებისა ძალიან ცოტას სჯეროდა. პირველ დამოუკიდებელ ექსპედიციაში წასვლის წინ 27 წლის მეცნიერმა მიკრობიოლოგიაში დაიცვა დისერტაცია. ერთ-ერთმა ოპონენტმა, რომელსაც ნანსენის სამეცნიერო ნაშრომი სადავოდ მიაჩნდა, დარბაზიდან ასეთი რეპლიკა ისროლა: „ამ ახალგაზრდა კაცის ლაშქრობიდან ცოცხლად დაბრუნების იმედი პრაქტიკულად არ არის. თუკი ის ბედნიერი იქნება იმით, რომ წასვლის წინ დოქტორის ხარისხი მიენიჭება, რატომაც არ უნდა ვაჩუქოთ ეს ბედნიერება!“

საქმე ისაა, რომ ნანსენს გრენლანდიის თხილამურებით გადასერვა ჰქონდა დაგეგმილი. მანამდე ამ უზარმაზარი კუნძულის მხოლოდ სანაპიროები იყო შესწავლილი და ისიც – ზერელედ, გრენლანდიის სიღრმეში შესვლას კი ვერავინ ბედავდა. ადგილობრივი მკვიდრი ესკიმოსებიც კი მხოლოდ სანაპიროებზე ცხოვრობდნენ, მაგრამ ახალგაზრდა მკვლევარს და სპორტსმენს სირთულეები არ აფრთხობდა. მან საგულდაგულოდ შეარჩია ჯგუფი, რომელთან ერთადაც გრენლანდია უნდა გადაეჯერა. ნანსენის ხუთი თანამგზავრიდან სამი ნორვეგიელი იყო, ორი კი – საამი.

ნანსენს ამ ექსპედიციაში არ გამოუყენებია ძაღლები. ის და მისი გუნდის წევრები თავად იყვნენ შებმული მარხილებში, რომელთა წონა დასაწყისში 100 კილოგრამს უდრიდა. გადაადგილება უწევდათ ორმოცგრადუსიან ყინვაში, მათი ტანსაცმელი არ იყო იდეალური, ხოლო საკვებს კალორიები აკლდა. ექსპედიციამ მაინც შეძლო ხუთ თვეში 470 კილომეტრის დაფარვა და 1888 წლის ოქტომბრის დასაწყისში გრენლანდიის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე დასახლება გოტჰიბში

მზის ჩასვლა ნორვეგიის ფიორდებში

საამებს ლაპლანდიელებსაც ეძახიან, მათი სამშობლო კი ნორვეგიის, შვედეთის და ფინეთის ჩრდილოეთს მოიცავს. საამები ძირითადად მეირმეობას მისდევენ და ნანსენის ორივე საამი თანამგზავრი, ბალტუ და რავნა, ირმების მწყემსები იყვნენ და არანაირი წარმოდგენა არ ჰქონდათ ექსპედიციის სამეცნიერო მნიშვნელობაზე. სამაგიეროდ შესანიშნავად იდგნენ თხილამურებზე და ჩრდილოეთში ცხოვრების და გადარჩენისთვის აუცილებელ უნარებს ფლობდნენ.

ფრიტიოფ ნანსენი მეუღლესთან ერთად

ჩააღწიეს. დანიისკენ (მაშინაც და დღესაც კუნძული გრენლანდია დანიის სამეფოს საკუთრებაა) მიმავალ ერთადერთ გემზე მოგზაურებს დააგვიანდათ და გამოზამთრება გოტჰიბში მოუწიათ. აღსანიშნავია, რომ ნანსენმა უარი თქვა ზამთარი დანიელი გუბერნატორის ფიცრულ სახლში გაეტარებინა და ესკიმოსების დასახლებაში, ადგილობრივების გვერდით დაიდო ბინა. ის ზამთარი ნორვეგიელმა მეცნიერმა ამ ხალხის ყოფის შესწავლას შეალია და მათი ენაც ისწავლა.

სამშობლოში ექსპედიციის წევრები 1889 წლის 30 მაისს გმირებად დაბრუნდნენ. გაზეთები ნანსენს ვიკინგების საგების გმირებს ადარებდნენ, მასში ეროვნული სულის აღორძინებას ხედავდნენ. ქრისტიანიის პორტში მას და მის თანამგზავრებს ათიათასობით ადამიანი ელოდა. გემ „მელქიორის“ გემბანიდან ექსპედიციის ოთხი მონაწილე აღფრთოვანებული და გულაჩუყებული უქნევდა ხელს ნაპირზე შეკრებილ ათიათასობით თანამოქალაქეს. მწყემსი საამებისთვის ამ ზეიმის მიზეზიც ისეთივე გაუგებარი დარჩა, როგორც მათი მოგზაურობის მიზანი. შედარებით უფროსმა რავნამ ბალტუს ხალხზე ანიშნა და გადაულაპარაკა: რა კარგი იქნებოდა, ესენი ადამიანები კი არა, ირმები ყოფილიყვნენო...

იმ დღეს ნანსენს პორტში ელოდა საცოლე ევა სარსიც – ცნობილი მომღერალი, რომელიც ექსპედიციაში წასვლის წინ თხილამურით სეირნობისას გაიცნო. ისინი მალე დაქორწინდნენ. მათი შთამომავლები კი დღესაც ღიმილით იხსენებენ ფრაზას, რომელიც მოგზაურმა თავის საცოლეს ქორწილის წინ უთხრა: ოღონდ იცოდე, მე პოლუსზე ვარ გასაქცევი...

დიახ, ნანსენი ჩრდილოეთ პოლუსის დასაპყრობად ემზადებოდა და გრენლანდიის ექსპედიცია მხოლოდ მსუბუქი მოთელვა იყო. სულ ტყუილად იმედოვნებდნენ მისი მეგობრები, რომ ქორწინება და ოჯახი ამ განზრახვაზე ხელს ააღებინებდა.

დღეს ჩრდილოეთ პოლუსზე თვითმფრინავებით ექსკურსიებზე დაჰყავთ ძალიან შეძლებული ტურისტები. XIX საუკუნის ბოლოს კი პოლუსის შესახებ ცნობილი იყო მხოლოდ ის, რომ ეს არის ადგილი, სადაც დედამიწას მისი წარმოსახვითი ღერძი კვეთს – მეტი არაფერი. მეცნიერებმა ისიც კი არ იცოდნენ, ყინულით დაფარული პოლუსი ხმელეთი იყო თუ ზღვა. ნანსენი სწორედ ვარაუდობდა, რომ პოლუსის ქვეშ წყალი უნდა ყოფილიყო. იქ მისაღწევად მან სრულიად ორიგინალური და ფანტასტიკური ხერხი აირჩია.

ოციოდე წლით ადრე პოლუსისკენ მიმავალ გზაზე ამერიკელ მკვლევართა გემი დაიღუპა. წლების შემდეგ გემის ნამსხვრევები ექსპედიციის სავარაუდო კატასტროფის ადგილიდან ათასი კილომეტრის დაშორებით მცურავ ყინულებზე აღმოაჩინეს. ამ ამბავმა ნანსენი ჩრდილოეთის ოკეანის დინებებზე დააფიქრა. მეცნიერი გამოანგარიშებას შეუდგა და ივარაუდა, რომ თუკი ზაფხულში იგი მაქსიმალურად შორს შეიჭრებოდა გემით ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში და ზამთრის მოსვლასთან ერთად ყინულებში ჩაიყინებოდა, ოკეანის დი-

„ფრამი“

ნება გემს თავად მიიყვანდა პოლუსთან. გეგმა სრულიად გიჟური ჩანს დღეს და კიდევ ამაზე უფრო გიჟური ჩანდა მაშინ. მათთვის, ვინც ჩრდილოეთზე ოცნებობდა, არ არსებობდა იმაზე დიდი კოშმარი, ვიდრე ყინულის ტყვეობაა, რომლიდანაც ცოცხლად თავის დაღწევის შანსები მიზერული იყო. იმ ეპოქაში გემები ხისგან მზადდებოდა და მათ შორის საუკეთესოებსაც კი ყინულის მარწუხები კაკლის ნაჭუჭებივით ამსხვრევდა.

ხის კონსტრუქცია უნდა ჰქონოდა ნანსენის ნახაზების მიხედვით აგებულ ხომალდსაც, მაგრამ მისი ფორმა ჯერ არნახული იყო. „ფრამი“ – ასე დაარქვეს ზღვაოსნობის ისტორიაში ერთ-ერთ ყვალზე სახელგანთქმულ გემს – იმგვარად იყო ნაშენი, რომ მის წყალქვეშა ნაწილს კვერცხის ოვალური ფორმა ჰქონდა. მეცნიერის გამოთვლით ამგვარი ფორმის გემი ყინულის დაწოლისაგან კი არ დაიმსხვრეოდა, არამედ ყინული მას ზევით ამოაგდებდა და თავის ზედაპირზე მოაქცევდა. რისკიანი ჩანაფიქრის მიუხედავად, ექს-

ჩრდილოეთის ციალი

ნანსენის ექსპედიცია ჩრდილოეთ პოლუსის დასაპყრობად

პედიციაში მონაწილეობის უამრავი მსურველი აღმოჩნდა. 600 კანდიდატიდან ნანსენმა 11 საუკეთესო ამოარჩია. ზღვაოსნობის და ჩრდილოეთის ცოდნის გარდა, მონაწილეთა შერჩევისას იყო კიდევ ერთი კრიტერიუმი – ექსპედიციის ყველა წევრი ნორვეგიელი უნდა ყოფილიყო. საქმე ეროვნულ ღირსებას ეხებოდა!

1893 წლის 24 ივნისს „ფრამმა“ ნორვეგიის სანაპირო დატოვა და სამი წლით გაუჩინარდა. ის უბრალოდ გაქრა. მაშინ არ არსებობდა რადიოგადამცემები და კავშირის სხვა საშუალებები. ექსპედიციის მონაწილეთა ოჯახის წევრებმა არ იცოდნენ, თუ რამდენი ხნით ემშვიდობებოდნენ თავიანთ ქმრებს, ძმებსა და შვილებს და საერთოდ ნახავდნენ კი მათ ოდესმე?!

ნანსენი თავისი ჩანაფიქრის აღსრულებას შეუდგა. გეზი მან აღმოსავლეთით, რუსეთის ჩრდილოეთ სანაპიროსაკენ აიღო, საიდანაც გემმა თავისუფალი დრეიფი დაიწყო. თავიდან მეცნიერის ვარაუდი გამართლდა, დინებას გემი ჩრდილო-დასავლეთისკენ, შესაბამისად, ჩრდილო პოლუსისკენ მიჰქონდა. მალე მოგზაურებმა შეცურეს ისეთ წყლებში, სადაც ჯერ არავინ იყო ნამყოფი. გზად შემხვედრ პატარა კუნძულებს ეკიპაჟის სახელებს არქმევდნენ. ხოლო 9 ოქტომბერს „ფრამი“, როგორც მოსალოდნელი იყო, ყინულის ტყვეობაში მოექცა. ეს გადამწყვეტი მომენტი იყო – გაუძლებდა თუ არა გემის კორპუსი ყინულის მარწუხებს. „ფრამის“ ფიჭვის ხისგან დამზადებული კორპუსი ჭრიჭინებდა. ექსპედიციის თავზარდაცემული წევრები ამ ხმას ძრწოლით უგდებდნენ ყურს. „ფრამი“ გადარჩა. ნანსენის ვარაუდი გამართლდა. გემის ოვალური კორპუსი ყინულის მარწუხებმა ნელ-ნელა ზევით ამოაგდო და ხომალდმა ახალა უკვე ყინულის თავზე მოქცეულმა განაგრძო დრეიფი.

მაგრამ ნორვეგიელმა მოგზაურმა ვერ გათვალა წყალქვეშა დინებების სიჩქარე. რამდენიმე თვეში ცხადი გახდა, რომ ხომალდი პოლუსისკენ ძალიან ნელა მოძრაობდა. ამ სიჩქარით მოგზაურები დასახულ მიზანს დაახლოებით 6 წელიწადში მიაღწევდნენ. ყინულის ტყვეობაში გატარებული თითქმის ერთი წლის შემდეგ ნანსენმა ფეხით გადაწყვიტა მიზნამდე მიღწევა. თანამგზავრად მან არქტიკის გამობრძმედილი მკვლევარი იალმარ იოჰანსენი აირჩია. როდესაც წყვილმა სტარტი აიღო, მათ პოლუსამდე 780 კილომეტრი აშორებდათ.

მოგზაურებს თან მიჰქონდათ სამი მარხილი, რომლებიც ძაღლებს უნდა ეთრიათ, ნავები და დაახლოებით ას ორმოცდაათი დღის სურსათ-სანოვაგე. სწორედ ამ დროში გეგმავდნენ მიზნამდე მიღწევას და უკან დაბრუნებას. ეს ლაშქრობა გეგმაში არ იყო. „ფრამზე“ ძაღლები, მარხილები და ნავები იმ შემთხვევისთვის ჰქონდათ, თუკი ყინული მაინც გასრესდა გემს და ექსპედიციას ევაკუაცია მოუწევდა.

წინასწარ ვიტყვი, რომ ნორვეგიულმა წყვილმა მიზანს ვერ მიაღწია. ნანსენმა ოცნება ვერ აისრულა, ხოლო მათმა მოგზაურობამ 150 დღის ნაცვლად წელიწადზე მეტ ხანს გასტანა. იმ წერტილიდან, საიდანაც ნანსენმა უკან მობრუნების გადაწყვეტილება მიიღო, პოლუსამდე კიდევ 400 კილომეტრი იყო დარჩენილი. ყინულეთის ამ ოდისეაში მათ ყველაფერი გადახდათ: იყო მომენტი, როდესაც იოჰანსენის თავი თეთრ დათვს ედო პირში, ნანსენი კი საგულდაგულოდ უმიზნებდა და გასროლას არ ჩქარობდა, რომ ტყვია მეწყვილესთვის არ გაერტყა. კიდევ იყო შემთხვევა, როცა წყლის დინებამ მათი ნავები წაიღო და ნანსენი დაუფიქრებლად გადაეშვა ყინულიან წყალში და მძიმე ტყავის ტანსაცმლით ცურვით დაეწია ნავებს. მკვლევრებმა გემისკენ უკან მიმავალ გზას ვერ გააგნეს, შიმშილისგან გათანგულებს ყველა ძაღლის შეჭმა მოუწიათ და მათ გარეშე დარჩენილები ხან ფეხით მიიკვლევდნენ გზას და ხანაც ნავებით, სანამ ბუნება ამის საშუალებას იძლეოდა, მაგრამ აი, დადგა ჩრდილოეთის ზამთარი, ხუთი თვით უკუნმა სიბნელემ დაისადგურა. ადგილს, სადაც მკვლევრებმა გამოზამთრება გადაწყვიტეს, მოგვიანებით ჯექსონის კუნძული დაერქვა. მათ ამოთხარეს ორმო, რომელსაც კარვები და სხვა აღჭურვილობა გადააფარეს. ამ ბუნაგში ნანსენმა და იოჰანსენმა მთელი ზამთარი ერთ საძილეში მოყუჩებულებმა გაატარეს. ჭამდნენ იმ ნანადირევს, რაც დაბნელებამდე მოიმარაგეს – ძირითადად სელაპის და თეთრი დათვების ხორცს.

1896 წლის მაისის ბოლოს გასავათებულმა ნორვეგიელებმა ნავებით განაგრძეს გზა. მათ იმედი ჰქონდათ, რომ შპიცბერგენის არქიპელაგის კუნძულებს მიაღწევდნენ, ოღონდ წარმოდგენა არ ჰქონდათ, თუ რა მანძილი აშორებდათ დასახულ მიზანს და რეალურად სად იმყოფებოდნენ. მათ გაუმართლათ და 17 ივნისს ფრანც იოსების არქიპელაგის ერთ-ერთ კუნძულზე ისინი აღმოაჩინა ინგლისელების ექსპედიციამ, რომლის ხელმძღვანელი, ფრედერიკ ჯექსონი, პირადად იცნობდა ნანსენს, ოღონდ ვერაფრით დაეჯერებინა, რომ მის წინაშე მდგარი გაბურძგნული და გაუბედურებული არსება სახელგანთქმული ნორვეგიელი იყო. თავის დროზე ჯექსონს ძალიან უნდოდა „ფრამის“ ექსპედიციაში მონაწილეობის მიღება, მაგრამ ნანსენისგან უარი მიიღო, რადგან ამ უკანასკნელს მხოლოდ ნორვეგიელებისგან დაკომპლექტებული გუნდი სჭირდებოდა.

რა გასაოცარიც არ უნდა იყოს, იმ დღეს, როცა ინგლისელებმა ნანსენი და იოჰანსენი იპოვეს, „ფრანი“ ყინულის ბორკილებისგან განთავისუფლდა და სამშობლოსკენ აიღო გეზი. ხომალდი ნორვეგიაში თავის კაპიტანზე ერთი კვირით გვიან დაბრუნდა.

ეკიპაჟის 12 წევრი ეროვნულ გმირებად იქცნენ, ხოლო ნანსენის სახელი მთელ მსოფლიოს ეკერა პირზე. მერე რა, რომ ექსპედიციამ პოლუსს ვერ მიაღწია – სამყაროს ჩრდი-

ლოეთ წერტილს მანამდე ვერავინ მიუახლოვდა ისე ახლოს, როგორც ნანსენი, ხოლო ნორვეგიელთა დრამატული თავგადასავლის შედეგად მოპოვებული მასალები მაშინდელი მეცნიერებისთვის ფასდაუდებელი იყო.

ნანსენი ამ ექსპედიციის მერეც ბევრს მოგზაურობდა, არქტიკაშიც ბრუნდებოდა, მაგრამ პოლუსის შტურმი მას აღარ უცდია, თუმცა მუდმივად გულში ატარებდა ჯერ ჩრდილო პოლუსის, ხოლო შემდეგ სამხრეთ პოლუსის დაპყრობის გეგმას.

ჩანაფიქრების განხორციელებაში ძირითადად მუდმივი მოუცლელობა უშლიდა ხელს. პოლარული ოდისეის შემდეგ ის ხომ ნომერი პირველი ნორვეგიელი გახდა, რაც უზარმაზარ პასუხისმგებლობას ნიშნავდა. მისი საქმიანობა არ შემოფარგლულა სხვადასხვა ქვეყანაში სამეცნიერო ლექციებით. საკუთარი ნების წინააღმდეგ მას პოლიტიკაში მოუწია ჩარევა.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დღის წესრიგში დადგა ნორვეგიის დამოუკიდებლობა. შვედეთის სამეფო თავისი ტერიტორიის დათმობას არ აპირებდა. 1905 წელს სიტუაცია ძალიან დაიძაბა, შვედეთი არჩევანის წინაშე იდგა, ან ჩაბმულიყო შეიარაღებულ კონფლიქტში ნორვეგიასთან, ან მშვიდობიანად გაეშვა ნორვეგია და საფუძველი ჩაეყარა სკანდინავიური თანამშრომლობისთვის. მოლაპარაკებებში ლონდონიც მონაწილეობდა. ნორვეგიის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის მეთაურთა თხოვნით სწორედ იქ მიავლინეს ნანსენი, რათა ბრიტანეთის სამეფო კარზე თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის სასარგებლო არგუმენტები დაესაბუთებინა. ეს მისია წარმატებული გამოდგა. შვედეთის ელჩი, ბარონი ვალენბერგი, ლონდონიდან სტოკჰოლმში იწერებოდა: ნანსენის ავტორიტეტი იმდენად დიდია, რომ მე ყურს არავინ მიგდებსო.

ამერიკელი რობერტ პირის ჩრდილოეთ პოლუსზე ყოფნა შესაძლოა ფალსიფიკაცია იყოს. ყოველ შემთხვევაში, პირის არ ახლდა არავინ, ვისაც გრძედების და განედების გაზომვა შეეძლო და მისდა კვალად დაადასტურებდა, რომ ექსპედიციამ ნამდვილად მიაღწია მიზანს. „პოლუსს“ მან სამ ესკიმოს გამყოლთან და აფროამერიკელ მზარეულთან ერთად მიაღწია.

საქმე ნორვეგიის სასარგებლოდ გადაწყდა და იმავე წელს ნანსენი კოპენჰაგენში გაემგზავრა საიდუმლო დავალებით, რათა დანიის პრინცი კარლოსი დაერწმუნებინა, რომ ნორვეგიის გვირგვინი მიეღო. უფლისწული ნანსენს პირადად იცნობდა, მისით აღფრთოვანებული იყო და არც შემოთავაზებაზე უთქვამს უარი. სულ მალე იგი დამოუკიდებელი ნორვეგიის მეფე ჰაკონ VII გახდა, ხოლო ნანსენს მისმა მთავრობამ პრემიერ-მინისტრის სავარძელი შესთავაზა, მაგრამ მეცნიერმა უარი თქვა. თუმცა სულ მალე ისევ ბრიტანეთში გაემგზავრა ამჟამად ნორვეგიის ელჩის სტატუსით.

დრო გადიოდა. რაც უფრო ემატებოდა ფრიტიოფ ნანსენს ასაკი, მით უფრო შორს იყო მისგან დედამიწის პოლუსები და რომელიმე მათგანის პირველად დაპყრობის ოცნება. ინგლისში ყოფნის დროს მას მეუღლე გარდაეცვალა, რაც ძალიან მძიმედ გადაიტანა.

1909 წელს საგანგებო დეპეშით ნანსენს აუწყეს, რომ ამერიკელმა რობერტ პირიმ რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ შეძლო ჩრდილოეთ პოლუსამდე მიღწევა. ამ ამბავს ნორვეგიელი მეცნიერი ცივად დარაც შეეძლო აუღელვებლად შეხვდა.

დანიის პრინცი კარლოსი – ნორვეგიის მეფე ჰაკონ VII

დანიის პრინცის დამოუკიდებელი ნორვეგიის ტახტზე აყვანა შემთხვევითი არჩევანი არ იყო. ოდესღაც, სანამ ნაპოლეონის ომების შედეგად ევროპის რუკა გადახალისდებოდა, ნორვეგია დანიის სახელმწიფოში შედიოდა. ხოლო ერთიანი სამეფო ნორვეგიას ადრეული შუა საუკუნეების მერე არ ჰქონია. აქვე აღსანიშნავია, რომ, მართალია, მაშინდელი შვედეთი იმპერიას წარმოადგენდა, მაგრამ ნორვეგიის გამოყოფა საბოლოოდ მაინც მშვიდობიანად – რეფერენდუმის შედეგად – მოხდა.

რუალ ამუნდსენი (1872-1928) – ნორვეგიელი პოლარული მკვლევარი, რომელიც ნანსენის გზის გამგრძელებელი აღმოჩნდა და ჩრდილოეთის პატარა ქვეყანას კიდევ უფრო გაუთქვა სახელი. მან სამხრეთ პოლუსს 1911 წლის 14 დეკემბერს მიაღწია. მას მერე, რაც მისმა საჰაერო ექსპედიციამ ასევე პირველმა მიაღწია ჩრდილოეთ პოლუსს 1926 წელს, ამუნდსენი მსოფლიოს ნომერ პირველ პოლარულ გმირად იქცა. მას პოლარული ქვეყნების ნაპოლეონსაც უწოდებდნენ. ამუნდსენი დაიღუპა 1928 წელს, როდესაც ჩრდილო პოლუსზე დაკარგული იტალიური დირიჟაბლ „ნორგეს“ ეკიპაჟის საშველად გაემართა. თვითმფრინავი, რომლითაც ამუნდსენი იტალიელების საპოვნელად გაფრინდა, გაქრა. ლეგანდარული მკვლევარის დაღუპვის დრო და ადგილი დღემდე უცნობია.

სამხრეთ პოლუსის დაპყრობა ნანსენის თანამემამულეებს ხვდათ წილად. სანამ პოლუსისკენ გაემართებოდა, ნორვეგიელმა რუალ ამუნდსენმა სწორედ ნანსენთან გაიარა კონსულტაციები, სწორედ მის ავტორიტეტს და რჩევებს დაეყრდნო, რათა ექსპედიციისთვის საჭირო ფული მოეპოვებინა და ბოლოს მისგან გემი „ფრამი“ ითხოვა. ეს ძალიან საგულისხმო მომენტია – ხომალდი ნანსენის არ ყოფილა, იგი სახელმწიფოს საკუთრება იყო, მისი მოპოვება ამუნდსენს ნანსენის გვერდის ავლითაც შეეძლო, მაგრამ გემის ნანსენისთვის თხოვნა უდიდესი მოწიწების ჟესტი იყო, ხოლო ლეგენდარული ხომალდით სამხრეთ პოლუსისკენ გამგზავრება – წარმატების საწინდარი.

როდესაც 1910 წლის 7 ივნისის შუაღამეს „ფრამმა“ ქრისტიანიის პორტი დატოვა, მას საკუთარი კაბინეტის ფანჯრიდან თვალს ადევნებდა 49 წლის ფრიტიოფ ნანსენი, რომელიც მოგვიანებით შვილს გამოუტყდა, რომ ეს მისი ცხოვრების უმძიმესი ეპიზოდი იყო.

ამუნდსენის ექსპედიცია წარმატებული გამოდგა. ნაკლებად გაუმართლათ მის კონკურენტებს, ინგლისელებს, რომლებიც ნორვეგიელებისთვის დასწრებას ცდილობდნენ. სამხრეთ პოლუსს მათ ამუნდსენზე ერთი თვით გვიან მიაღწიეს, ხოლო უკანა გზაზე ექსპედიციის ხელმძღვანელი რობერტ სკოტი და მისი ოთხივე თანამგზავრი დაიღუპა.

ანტარქტიკიდან სამშობლოსკენ მომავალმა ამუნდსენმა პირველივე ცივილიზებული ადგილიდან, ასეთი კი კუნძული ტასმანია იყო, ნორვეგიაში თავისი გამარჯვების მაუწყებელი სამი დეპეშა აფრინა. ერთის ადრესატი მოგზაურის ძმა იყო, მეორის – ნორვეგიის მეფე, მესამის კი, რაღა თქმა უნდა, – ფრიტიოფ ნანსენი.

ძნელია ერთ წერილში ჩამოთვალო ყველა



ის საინტერესო ფაქტი და მოვლენა, რომლის მონაწილეც თავისი სისხლსავსე ცხოვრების მანძილზე ნორვეგიელი მოგზაური ნანსენი იყო, მაგრამ აუცილებლად უნდა ვახსენოთ მისი ერთა ლიგაში მონაწილეობა.

1918 წელს დამთავრდა პირველი მსოფლიო ომი, რომელშიც ნეიტრალურ ნორვეგიას მონაწილეობა არ მიუღია. დიდმა ომმა ევროპის რუკა შეცვალა. დაინგრა რამდენიმე იმპერია და მათ ადგილას ახალი ეროვნული სახელმწიფოები გაჩნდა. საჭირო იყო ახალი მსოფლიო წესრიგი და ორგანიზაცია, რომელიც ამ წესრიგს დაარეგულირებდა. სწორედ მაშინ შეიქმნა „ერთა ლიგა“ – დღევანდელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინამორბედი.

ნანსენს ახლადჩამოყალიბებულ ორგანიზაციაში ნორვეგიის წარმომადგენლობა შეს-

რობერტ სკოტი (1868-1912) – ინგლისელი მკვლევარი, ამუნდსენის მთავარი მოწინააღმდეგე სამხრეთ პოლუსის დაპყრობაში. საქმე ისაა, რომ პოლუსზე მისაღწევად ინგლისელებს და ნორვეგიელებს შორის ნამდვილი შეჯიბრი გაიმართა, ოღონდ ეს ძალიან საშიში შეჯიბრი იყო. ნორვეგიელთა მსგავსად ინგლისელებიც გამობრძმედილი და მამაცი მოგზაურები იყვნენ, მაგრამ ნორვეგიელთა ექსპედიცია უკეთ აღჭურვილი და ორგანიზებული აღმოჩნდა. ინგლისელები ტრანსპორტად იყენებდნენ საწვავზე მომუშავე მარხილებს, რომლებიც მალე გამოვიდა მწყობრიდან და პატარა ჯიშის ცხენებს – პონებს, რომლებიც მალე დაიხოცნენ სიცივისგან. ნორვეგიელებს კი მარხილებში უკვე კარგად გამოცდილი გრენლანდიური ძაღლები ჰყავდათ შებმული. საბოლოოდ სკოტის ექსპედიციამ მაინც მიაღწია პოლუსს, სადაც მათ ამუნდსენის წერილი დახვდათ. უკანა გზაზე ხუთივე ინგლისელი რიგრიგობით დაიღუპა შიმშილისა და სიცივისაგან. უკანასკნელი იყო თავად სკოტი, რომელიც ბოლო წუთამდე აწარმოებდა დღიურს. მისი უკანასკნელი ჩანაწერი იყო მუდარა, ბედის ანაბარა არ მიეტოვებინათ დაღუპული მკვლევარების ოჯახები. ეს თხოვნა ინგლისელმა ხალხმა შეისმინა, შეიქმნა ფონდი, რომელმაც სამუდამოდ უზრუნველყო დაღუპულთა ქვრივ-ობლები.

თავაზეს. მეცნიერსა და მოგზაურს უარი არ უთქვამს და რადგან დათანხმდა, საქმესაც ჩვეული ენერგიით მოჰკიდა ხელი. საქმე კი თავზესაყრელი იყო...

ფრიტიოფ ნანსენი, ლონდონი, 1907

ერთა ლიგამ ნანსენი ლტოლვილთა საქმეების კომისრად დანიშნა. ეს ძალიან რთული თანამდებობა იყო. ომის შედეგად ევროპა ლტოლვილებით იყო სავსე, ნახევარ მილიონამდე სამხედრო ტყვე სხვადასხვა ქვეყნის ტყვეთა ბანაკებში იყო მიმოფანტული. ამ ადამიანების უმეტესობას არ გააჩნდა არანაირი საბუთი. ხშირ შემთხვევაში კი ქვეყნები, რომელთა მოქალაქეებიც ისინი ომამდე იყვნენ, მსოფლიო რუკაზე აღარ არსებობდა. აქვე გავიხსენოთ, რომ პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისას მოხდა ისეთი სისხლიანი მოვლენები, როგორიც იყო 1915 წლის სომხების დევნა თურქეთში და 1917 წლის ორი დიდი რევოლუცია რუსეთში, რამაც ლტოლვილთა უზარმაზარი ნაკადები გამოიწვია.

ნანსენმა თავისი ენერგიის, გულისხმიერებისა და საქმისადმი ერთგულების წყალობით 1922 წლამდე მსოფლიოს 30 ქვეყანაში 427 000 სამხედრო ტყვე დააბრუნა. ადამიანური ტანჯვა, რომელსაც ის ყოველდღიურად უყურებდა, მისნაირი გამობრძმედილი კაცისთვისაც კი აუტანელი იყო.

სწორედ 1922 წელს შემოიღეს საბუთი, რომელსაც „ნანსენის პასპორტი“ დაერქვა. ამ საბუთს, რომელზეც რომელიმე ქვეყნის გერბის ნაცვლად თავად ფრიტიოფ ნანსენის გამოსახულება ამშვენებდა, აძლევდნენ მათ, ვისაც სხვა არანაირი საბუთი არ გააჩნდა. ამ პასპორტის მფლობელებს თავისუფლად გადაადგილების საშუალება ეძლეოდათ. მრავალთა შორის იყვნენ თურქეთიდან ლტოლვილი 320 000 სომეხიც, რომლებმაც სწორედ ნანსენის ძალისხმევით და მის მიერ გაცემული საბუთის მეშვეობით შეძლეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ახალი სამკვიდროს პოვნა. ეს ფაქტი სომხებს ახსოვთ და მათ შორის ნანსენის პოპულარობა დღესაც უდიდესია.

„ნანსენის პასპორტმა“ თავად ნანსენზე დიდხანს იცოცხლა. მეორე მსოფლიო ომის დროს მას 52 ქვეყანა ცნობდა. მილიონობით ადამიანისთვის, ვინც ფაშისტურ ჯოჯოხეთს გაურბოდა, ეს დოკუმენტი გადარჩენას, სიცოცხლის გაგრძელებას ნიშნავდა.

1922 წელს ერთა ლიგის ლტოლვილთა საქმეების კომისარს – ფრიტიოფ ნანსენს მშვიდობის დარგში ნობელის პრემია გადაეცა.

ალფრედ ბერნჰარდ ნობელი
(1833-1896)

შვედი ქიმიკოსი და ინჟინერი, ნოვატორი, იარაღის შემქმნელი, დინამიტის გამომგონებელი. იგი იყო შვედური მეტალურგიული კონცერნ „Bofors“-ის მფლობელი, რომელიც მან რკინისა და ფოლადის გადამამუშავებელი ქარხნიდან საბრძოლო იარაღის მწარმოებელ მთავარ საწარმოდ აქცია. ა. ნობელს ჰქონდა 355 სხვადასხვა პატენტი, რომელთა შორისაც ყველაზე ცნობილი იყო დინამიტი.

ალფრედ ნობელის სახელი ფართოდ ცნობილი მისივე სახელობის ყოველწლიური საერთაშორისო პრემიის დამსახურებით გახდა, რომელიც მისი ანდერძის თანახმად დაწესდა – ნობელის სიკვდილის შემდეგ მისი ქონება შეადგენს ნობელის პრემიის ფონდს და პრემია ენიჭებათ ადამიანებს რასის, ეროვნების, სქესისა და სარწმუნოების განურჩევლად ფიზიკის, ქიმიის, მედიცინისა და ფიზიოლოგიის, მხატვრული ლიტერატურისა და მშვიდობის დარგში განსაკუთრებული წვლილისათვის. „ნობელის პრემია“ წარმოადგენს ოქროს მედალს ალფრედ ნობელის გამოსახულებით, დიპლომს და საკმაოდ სოლიდურ ფულად თანხას.

ძალიან ბევრი გააკეთა ნანსენმა საბჭოთა რუსეთში შიმშილის დასაძლევად. ეს, ალბათ, მის მიერ შესრულებული ყველაზე რთული ამოცანა იყო. დასავლეთი ბოლშევიკურ რუსეთში დიდ ხიფათს ხედავდა და სავსებით სამართლიანადაც. ბოლშევიკური იდეალების მოტრფიალე არც ნანსენი

ყოფილა, მაგრამ ის გულგრილად ვერ უყურებდა როგორ იხოცებოდა შიმშილით სამოქალაქო ომით გატანჯულ რუსეთში მილიონობით ადამიანი. მან თავად იმოგზაურა ვოლგისპირეთში და შიმშილის მასშტაბები საკუთარი თვალით ნახა. ჟენევაში ნანსენის მიერ წარდგენილ ანგარიშში იყო კანიბალიზმის ფაქტებიც და როცა ერთა ლიგამ რუსეთისთვის სასურსათო დახმარებაზე უარი თქვა, ნანსენმა, საკუთარი ავტორიტეტის გამოყენებით, კანადასა და ამერიკაში პურის საყიდლად ფული კერძო პირებისგან მოიძია. ნობელის პრემიაში აღებული თანხის ერთი ნაწილით მან რუსეთში ორი საჩვენებელი მეურნეობა მოაწყო (ცოტა ხანში კომუნისტებმა ორივე მეურნეობა გააუქმეს, ქონება კი დაანიავეს), მეორე ნაწილით კი თურქეთ-საბერძნეთის ომის შედეგად ლტოლვილებად ქცეულ ბერძნებს გაუმართა ხელი. როგორც წესი, იგივე ბედი ეწეოდა ხოლმე მისი წიგნებიდან შემოსულ ჰონორარებს. თითქმის მთელი მისი შემოსავალი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში შიმშილისგან ან ეპიდემიებისგან გატანჯულ ადამიანებს ხმარდებოდა.

ასეთი იყო ფრიტიოფ ნანსენი – კაცი, რომელიც 1930 წლის 17 მაისს წყნარად აღესრულა საკუთარი სახლის ვერანდაზე, ჩრდილოეთის მზეს მიფიცხებული. მისი დასაფლავების დღეს სამეფო სასახლის ზარბაზნებმა საზეიმო ზალპი მისცეს, სახელმწიფო დროშები ყველგან დაბლა დაუშვეს, ხოლო მთელმა ნორვეგიამ ორწუთიანი დუმილით პატივი სცა თავის ყველაზე გამოჩენილ შვილს.

ამ სტატიაში ნანსენის ცხოვრების მხოლოდ რამდენიმე ყველაზე თვალსაჩინო ეპიზოდს შევეხე და თითქმის არაფერი მითქვამს მის სამეცნიერო მოღვაწეობაზე, მაშინ, როცა მხოლოდ მისი სამეცნიერო ხარისხების ჩამონათვალი რამდენიმე გვერდს დაიჭერდა. მან თავად შექმნა ახალი სამეცნიერო დარგი, რომელსაც ფიზიკური ოკეანოგრაფია ეწოდება. ნანსენის მეგობარი ოტო სვერდრუპი, გრენლანდიისა და ჩრდილოეთ პოლუსის ექსპედიციების მონაწილე და ერთ-ერთი იმ რვა ადამიანთაგანი, ვისაც პატივი ერგო უკანასკნელ გზაზე ნანსენის კუბო ეტარებინა, იგონებდა: „ის იყო ძალიან დიდი მოგზაური, მაგრამ იყო კიდევ უფრო დიდი მეცნიერი და კიდევ უფრო დიდი ადამიანი...“

ნორვეგიული სოფელი ლაფოტენის არქიპელაგზე